

ოქმი №32

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2024 წლის 21 ოქტომბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2024 წლის 21 ოქტომბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ხოშტარია.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, დ. გუნია, დ. ცანავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია და გ. კუცია.

საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს: ტ. ხოშტარია

2. მიხეილ დარცმელიძის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს: ტ. ხოშტარია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

4. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. კ. კუჭუხიძე

5. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ. კუცია.

6. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ტ. ხოშტარია

7. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს: ტ. ხოშტარია

გ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ მერაბ მელიამ 2024 წლის 16 ოქტომბერს პირადი განცხადებით მოიხსნა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. განმარტა, რომ მას უფლებამოსილება შეუწყდა განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან 2024 წლის 17 ოქტომბრიდან. აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაციას საკრებულო ცნობად იღებს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარია.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

მიხეილ დარცმელიძის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს: ტ. ხოშტარია

გ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო №63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 19 ოქტომბრის განკარგულება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის მერაბ მელიას ადგილმონაცვლედ მიხეილ დარცმელიძის ცნობის შესახებ. განმარტა, რომ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი ადგილმონაცვლეობის ცნობის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემიდან მე-14 დღიდან, რაც შესაბამის საკრებულოს ეცნობება.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – მიხეილ დარცმელიძის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ცნობად მიღების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარია.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თ. ნოდია.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

4

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. კ. კუჭუხიძე

მომხსენებელმა კ. კუჭუხიძემ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსი შ. დარცმელიძე.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

5

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი გ. ლომთაძე.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

6

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ტ. ხოშტარია

მომხსენებელმა ტ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჟ. მიმინოშვილი.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2024 წლის 22 ოქტომბერს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ოქტომბრის მორიგი №17 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

3. მიხეილ დარცმელიძის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

4. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. თ. ნოდია

5. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. შ. დარცმელიძე

6. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ. ლომთაძე

7. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ჟ. მიმინოშვილი

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:  გ. ხომტარია

